პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

25
ივნისი
კვირა,
1961 წ.
№ 87 (1723)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

27 ივნისს

სპორტის სასახლეში შედგება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს

IX პლენუმი

დღის წესრიგშია

1. რესპუბლიკის სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

დასაწყისი 12 ს.

ჯეკ კრამერის „ცირკი“ თბილისშიც ჩამოვა

იელასში საბჭოთა კავშირს ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიონალ ჩოგბურთელთა „ანსამბლი“ რომელიც ჯეკ კრამერის „ცირკის“ სახელწოდებას ატარებს. მასში გამოდიან დევისის თასის და უიმბლდონის ტურნირის მრავალგზის ჩემპიონები, სახელგანთქმული ჩოგბურთელები რ. გონზალესი, ტ. ტრაბერტი, ბ. მაკ-კენტი და სხვები.

პროფესიონალი ჩოგბურთელები არ შეხვდებიან საბჭოთა სპორტსმენებს. ისინი ითამაშებენ მხოლოდ ერთმანეთში. სულ გაიმართება ერთეულთა ორი შეხვედრა და ერთი წყვილთა გამოსვლა.

კრამერის „ცირკის“ საგასტროლო კალენდარი ასეთია: 11 ივლისი — მოსკოვი, 13 ივლისი — რიგა, 15 ივლისი — ლენინგრადი, 17 ივლისი — ტალინი, 20 ივლისი — თბილისი.

პროგნოზი არ გამართლდა

ხუთჭიდელთა საკავშირო ჩემპიონატის დაწყებისას ბევრი ვარაუდობდა, რომ პირად ჩათვლაში გამარჯვებას მოიპოვებდა მსოფლიოს ჩემპიონი ი. ნოვიკოვი, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა — ი. ნოვიკოვმა ფეხის ტრავმის გამო სუსტად ჩაატარა შეჯიბრება და პრიზიორთა რიგებშიც ვერ მოხვდა.

ხუთჭიდელთა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ბ. პახომოვმა. საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონის შედეგია 4.835 ქულა. მეორე ადგილზეა ლენინგრადელი ა. ტარასოვი — 4.770 ქულა, ხოლო მესამეზე — ნ. შინკარევი — 4.696 ქულა.





გაცნობიერებული

22 ივნისს თბილისელებმა პირველად იხილეს ციგურებით ფიგურული სრიალის ოსტატთა გამოსვლა. ისინი ცხოველი ინტერესით ხვდებოდნენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა და მოსკოვის ნორჩ მოციგურავეთა ყოველ გამოსვლას და ერთსულოვანი ტაშით აცილებდნენ მათ.

ამრიგად, გაცნობა შედგა. როგორია შთაბეჭდილებები?

თავდაპირველად, სტუმრების შესახებ. ჩვენ ვესაუბრეთ რამდენიშე მათგანს და ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა ასეთ ფაქტს: „ჩვენ ერთი წამითაც არ გვიგრძვნია, რომ სპორტის სასახლის ტრიბუნებზე მსხდარი მაყურებლები ახალბედა მაყურებლები იყვნენ, რომ ისინი მხოლოდ ახლა ეცნობოდნენ სპორტის ამ მათთვის ახალ სახეობას. ჩვენს გამოსვლაში თბილისელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არცერთი ისეთი ეპიზოდი, ძნელი, ლამაზი და ეფექტური მოძრაობა, რომლისთვისაც, როგორც იტყვიან, ტაშის დაკვრა ღირდა. ეს გარემოება კი თვით ყინულის სარბიელზე გამოსული სპორტსმენებისათვისაა ყველაზე მეტად სასიამოვნო“.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის სპორტსმენთა ამ გამოსვლებს არ ქონდა სპორტული სიმძაფრე და გამიზნულობა. ეს გასაგებიცაა; ეს იყო საჩვენებელი გამოსვლები და არა რაიმე პირველობა, რომელიც შეჯიბრების მწვავე სულისკვეთებას შეიტანდა სპორტსმენებსა და მაყურებლებს შორისაც. ამდენად, ჩვენი სტუმრების ამ გამოსვლებში უფრო მეტად წინ არის წამოწეული ესთეტიკურ-სანახაობითი მხარე, თუმცა ყოველივე ამას საფუძვლად უდევს ვირტუოზული სპორტული ოსტატობა.

და სწორედ ამ ოსტატობამ მოისყიდა, ლამაზ სანახაობითს მხარესთან ერთად თბილისელები, რომლებმაც უკვე განსაკუთრებით გამოარჩიეს კიდეც სტუმრებიდან თავიანთი გულშემატკივრობის ობიექტები. მათ შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს 10 წლის მოსკოველი მოსწავლე ლ. შჩეგლოვა, რომელმაც ძალიან ეფექტურად შეასრულა ვარიაციები ბალეტიდან „ჟიზელი“ და ნებისმიერი სრიალი, მისი თანატოლი ი. ბოგდანოვა, სსრ კავშირის ჩემპიონები — 15 წლის ტატიანა ნემცოვა და ვალერი მეშკოვი, აგრეთვე თ. ბრატუსი, ი. ლიულიაკოვა, ა. ვედენინი, გ. სედოვა-გ. პრისკულნინს წყვილი და სხვანი.

ეს ურთიერთსიმპათიები, ეს ურთიერთგაგება უეჭველია კეთილ კვალს გაავლებს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ერთ-ერთი ულამაზესი სახეობის — ციგურებით ფიგურული სრიალის განვითარებაში.

შ. ჯუღელი.

სურათზე: საჩვენებელი გამოსვლების მონაწილენი. მარცხნივ ტ. ნემცოვა და ი. ლიულიაკოვა.

ფოტო ი. იუნაევისა

ვ. ტანია — პირველ ადგილზე

მოსკოვის იპოდრომზე ოთხ დღეს გრძელდებოდა სოფლის ცხენოსანთა შეჯიბრება. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს რუსეთის ფედერაციის „უროჟაის“ ცხენოსნებმა. მათ დაიკავეს საერთო გუნდური პირველი ადგილი.

პირად ჩათვლაში გამარჯვებები მოიპოვეს: ა. ვორონინმა (თასის გათამაშებაში), მ. კოლუნოვმა (სამჭიდში). ორივე ზემოაღნიშნული სპორტსმენი რუსეთის ფედერაციიდანაა. 2-კილომეტრიან საბარიერო დოღში პირველი ადგილი დაიკავა გუდაუთელმა („კოლმეურნე“) ცხენოსანმა ვ. ტანიამ. მისი შედეგია — 2.19,4.

19 გროსმაისტერის მონაწილეობით

20 ივნისს ობერპაუზენში (გფრ) გაიხსნა ევროპის II გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 6 ქვეყნის გუნდი, თვითეულ მათგანში 10 მოჭადრაკეა. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ. კენჭისყრის შემდეგ ისინი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: სსრ კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესპანეთი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველობის 60 მონაწილეს შორის 19 გროსმაისტერია, რაც მსოფლიოში მცხოვრები გროსმაისტერების მესამედს შეადგენს.

I ტურის ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა მოჭადრაკეთა გამოსვლა, რომლებიც შეხვდნენ ესპანეთის ნაკრებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტალის პარტია ტორანთან. მსოფლიოს ექსჩემპიონმა დებიუტის დამთავრებისთანავე განხორციელა ლაზიერის მოულოდნელი შეწირვა ორ ფიგურაში. ინიციატივის განვითარებით ტალმა სამი ფიგურით დალაშქრა ტორანის მეფე და 26-ე სვლაზე გაიმარჯვა.

დანარჩენ შეხვედრებში გაიმარჯვეს სმისლოვმა, გელერმა, პოლუგაევსკიმ, ტოლუშმა, ხოლო ტაიმანოვმა და ფურმანმა პარტიები ყაიმით დამთავრეს. 9:1 — გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

II ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ თავიანთ ძირითად მეტოქეს — იუგოსლავიის ნაკრებს. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ აშკარაშით 6,5:4,5 მოიგო საბჭოთა გუნდმა. გამარჯვებას მიაღწიეს პეტროსიანმა და ფურმანმა, ხოლო ტალმა კორჩნოიმ, პოლუგაევსკიმ, ტაიმანოვმა და გელერმა შეხვედრები ყაიმით დამთავრეს.

III ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ჩეხებს. მატჩი შეწყდა ანგარიშზე 3:2 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. ხუთი პარტია გადაიდო. პარტიები მოიგეს პეტროსიანმა, ტაიმანოვმა, ყაიმით დამთავრეს ბოტვინიკმა, ტალმა, ხოლო ტოლუში დამარცხდა.

ბელგრადი

ევროპის სუბტროპიკული საზღვაკები

გულგარეთი

გრძელდება სოციალისტური ქვეყნების კალათბურთელთა გუნდების ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდის თბილისის „დინამო“. მესამე ტურში დინამოელები შეხვდნენ ვარშავის „გვარდიას“.

დასაწყისში უპირატესობა პოლონელ კალათბურთელთა მხარეს იყო, მაგრამ მე-10 წუთიდან თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 32:27. მეორე ნახევარში უპირატესობა კვლავ ქართველ კალათბურთელების მხარეს იყო, რომლებმაც მოიგეს მატჩი—73:61. მორიგი მატჩი თბილისის „დინამომ“ ჩაატარა ბერლინის თანაკლუბელებთან. შეხვედრის ანგარიშია — 85:63 თბილისელთა სასარგებლოდ.

გუშინ შედგა გადამწყვეტი მატჩი. თბილისის „დინამომ“ დაამარცხა სოფიის „სპარტაკი“ და მოიპოვა ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

ბერლინი

ბერლინში ვ. ულბრიხტის სახელობის სტადიონზე დამთავრდა **გდრ**-სა და **რსფსრ**-ს მძლეოსანთა პირველი სამატჩო შეხვედრა, რომელიც მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ი. კლაუსმა (გდრ) დაამყარა მსოფლიო რეკორდი—6,42 მ. მასზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ საბჭოთა სპორტსმენებს ტ. შელკანოვასა — 6,50 მ და ვ. შაპრუნოვას — 6,46, მაგრამ მათ ეს შედეგები აჩვენეს ძლიერი ქარის დახმარებით, რის გამოც რეკორდად არ ჩათვლება. ევროპის რეკორდი ჭოკით ხტომაში დაამყარა მ. პრეისგერმა (გდრ) — 4,67 მ. თ. პრესმა ბადრო ტყორცნა 56 მ 95 სმ-ზე რაც საუკეთესოა მსოფლიოში მიმდინარე სეზონში. ვ. კუზნეცოვმა შუბი ტყორცნა 81 მ 95 სმ-ზე. 80 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ი. პრესმა — 10,7 წ. 100 მ რბენაში უძლიერესნი იყვნენ ქალთა შორის — ბირკმაიერი (გდრ) ვაჟებში — პროხორრუსკი და სხვ.

ბ. შავლაყაძე — 210 სმ.

პრაღაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩში ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა რ. შავლაყაძემ, რომელმაც დაძლია 210 სმ.

პოლონელები ქუთაისში

ქუთაისი. (ჩვენი საკ. კორ.). 22 ივნისს ქალაქის სტადიონზე გაიმართა კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს და პოლონეთის გუნდები. სტუმრების ქალთა გუნდმა დაამარცხა თბილისის განათლების განყოფილების კოლექტივი — 50:37. პოლონეთის ახალგაზრდულმა ვაჟთა ნაკრებმა მოუგო თბილისის უნივერსიტეტის გუნდს — 73:72.

გუშინ ქუთაისში კვლავ შედგა კალათბურთელთა საერთაშორისო მატჩები. პირველად პოლონეთის კალათბურთელი ქალები შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 53:39.

პოლონეთის ახალგაზრდული და ქუთაისის ვაჟთა გუნდების შეხვედრაშიც უპირატესობა სტუმრების მხარეზე იყო, რომლებმაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 54:31.

ი. ბუხაიძე

ალამი აღმართეს

გუშინ, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა. აღლუმში მონაწილეობდა რესპუბლიკის რჩეული სპორტსმენები — ჩვენი მომავალი.

როდესაც აღლუმის მონაწილეები სარბენ ბილიკზე გამწკრივდნენ, მათ მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი.

სპარტაკიადის ალამი აღმართეს გასული წლის ჩემპიონებმა სწავლის ფრიადოსნებმა — დ. ფავლენიშვილმა, ნ. დურმიშიძემ და დ. ჯანუყაშვილმა.



პირველი ჩემპიონი

მოსწავლეთა სპარტაკიადის გახსნამდე შედგა მოსწავლეთა ფეხბურთელთა ფინალური მატჩი ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისისა და თბილისის ნაკრები გუნდები. მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. ნაყოფიერი გამოდგა პირველი ნახევარი — თბილისელებმა ორი ბურთი გაიტანეს.

მეორე ნახევარში არც ერთი მხარის კარი არ აღებულა და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დარჩა თბილისელებს (2:0).

სპარტაკიადა დამთავრდება 2 ივლისს. დაკომპლექტდება ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის მოსწავლე სპორტსმენთა სპარტაკიადაში (გაიმართება ბაქოში.)

წარსულიდან



სურათებზე: ველოსიპედისტი, მე-9 კლასელი მადონა თოდუა (მარჯვნივ) ემზადება შეჯიბრებისათვის, მე-6 კლასელი ნანი კრავეიშვილიც მასთან არის, უფროს ამხანაგს ამხნევებს თავისი დახმარებით. სკოლის კალათბურთელ ვაუთა ნაკრები გუნდი ვარჯიშის დროს.

ფოტო კ. სახეიშვილისა.

XXII

კომუნისტური პარტიის

... ...

რაიონში პირველი

წარსულიდან

გასული საუკუნის 80-იან წლებში დაბა ზუგდიდში არც ერთი სასწავლებელი არ ყოფილა. ამიტომ ზუგდიდელებს თავიანთი შრომითი დანაზოგით და შეგროვებული ფულით სკოლის აგება გადაუწყვეტიათ. საამისო ნებართვა მათ მიიღეს ხელისუფლებისაგან და 1878 წელს საძირკველი ჩაეყარა დღევანდელი პირველი საშუალო სკოლის შენობას. 1884 წელს ზუგდიდის ორკლასიან სასწავლებელში პირველი მოსწავლეები მივიდნენ. მას შემდეგ 75 სასწავლო წელი გავიდა და ახლა უკვე სკოლა თავისი 76-ე სექტემბრისათვის ემზადება.

1921 წლის 25 თებერვალმა საქართველოს მშრომელებს ახალი და ბედნიერი ცხოვრების დღეები მოუტანა, ახალი ამოცანების სიმაღლეზე დადგა მოზარდი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეც. 1921 წლიდან ზუგდიდის სასწავლებელი გადაკეთდა 8-წლიან, ხოლო 1939 წელს ტექნიკუმის ბაზაზე აქ სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნა. 1952 წლიდან — ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ, დაარსდა ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელი ეწოდა. ახლა ამ სკოლაში მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს 45 პედაგოგი ემსახურება.

აქ აღიზარდნენ

სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე განათლების ამ კერაში იზრდებოდნენ მშობლიური კულტურის მოამაგენი და საზოგადო მოღვაწეები. როცა აქ 6-კლასიანი სასწავლებელი იყო, იგი 3150 კაცმა დაამთავრა. ამ სასწავლებელში აღიზარდა ახლა უკვე გამოჩენილი საბჭოთა ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი ნიკოლოზ ანთელავა. როცა სკოლა პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა, აქ სწავლობდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ვეკუა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ჩიქოვანი, აკადემიკოსი ტ. კვარაცხელია, პროფესორები: შ. მესხია, შ. ჩხეტია, ი. ანთელავა, ხ. ფალავა, გ. სოსელია და მრავალი სხვა გამოჩენილი მეცნიერი მუშაკი. აქ სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის გმირი შ. ჩილაჩავა.

ამ სკოლის აღზრდილებმა დ. კიკიანმა, შ. როგავამ, ა. ხუნჯუამ და ბევრმა სხვამ გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებას შესწირეს თავი.

ზუგდიდის ამ ძველთაძველი სკოლის კედლებში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი სპორტსმენები: ფეხბურთის ვეტერანი — შ. შავგულიძე, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მცველი ბ. სიჭინავა, ცნობილი მოჭადრაკე ქალი ნ. გაფრინდაშვილი. ისინი და სხვანიც ოსტატდებოდნენ სკოლის სპორტულ მოედნებზე თუ საჭადრაკო დაფასთან. ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი კარგი სპორტსმენი და მიღწეოსანი იზრდება სკოლის კედლებში, ვინ იცის კიდევ რამდენი ზუგდიდელი მოუხვეჭს სახელს თავის მშობლიურ სკოლას, ქალაქსა და რესპუბლიკას.

წრთოგა, ასპარეზი, გამარჯვეგეგი

სკოლის ფიზიკაზრდის მასწავლებელია თამარ ჭითანავა — ცხენოსნობაში საქართველოს პირველობათა მრავალგზის პრიზიორი. წლების განმავლობაში მუშაობს ამ სკოლაში ფიზიკაზრდის მეორე მასწავლებელიც — მიხეილ პაჭკორია. ამ ორმა აღმზრდელმა სკოლაში ფიზკულტურული მუშაობის ცეცხლი დაანთო. მათ გვერდში უდგანან სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია და ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, რომელთა ავანგარდულმა როლმა სკოლის სპორტსმენებს არაერთი გამარჯვება მოუტანა. მათი დაუღალავი შრომის ნაყოფია ისიც, რომ სკოლაში ამ ბოლო ხანს 48 მოსწავლემ სპორტული თანრიგები შეასრულა. ეს პატარა ციფრი როდია—ამდენი თანრიგოსნის მომზადება ზოგიერთი რაიონის თითქმის ნახევარი წლის გეგმას უდრის. ეს მიღწევა ყოველდღიური, დაძაბული წვრთნის შედეგია.

ვესტუმროთ სკოლის სპორტულ დარბაზსა და მოედნებს. დარბაზში ყოველდღიურად ვარჯიშობენ ნორჩი ტანმოვარჯიშენი. მოსწავლეებს ნ. ფარცვანიას, თ. ჯგუშიას, ვ. ხაბეიშვილს, რ. ხეცურიანს გადაწყვეტილი აქვთ ტანვარჯიშში დაოსტატდნენ. ამიტომაა, რომ ისინი დღენიადაგ ტანვარჯიშულ იარაღებთან არიან. განა მარტო ტანვარჯიშში ოსტატდებიან ამ სკოლის აღსაზრდელები, ისინი სპორტის სხვა სახეობებშიც მოწინავეთა რიგებში დგანან. 12 კალათბურთელს III თანრიგი აქვს, ველოსპორტში—4-ს, ფრენბურთში—9-ს, მძლეოსნობაში — 10-ს და ა. შ. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩამეული არიან სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში, ჭიდაობაში.. ფიზკულტურულ კოლექტივში 250 მოსწავლეა გაერთიანებული, მათგან 130 გოგონაა. 80 მოსწავლეს ჩაბარებული აქვს მშთ-ს ნორმატივები. გასულ სასწავლო წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვმა 3000-ს მიაღწია. აი, მათი სახელები, ვინც თავისი სპორტული მიღწევებითა და კარგი აკადემიური მოსწრებით მშობლიური სკოლა ასახელა: ჯ. ქვარცხავა, ა. უვანია, მ. დავიანტი, ლ. ბუკია, დ. ლოგუა, გ. ალმასია, თ. ჭითანავა, ჭ. სანაია, ც. ხოხელია, მ. თოდუა, ნ. კრავეიშვილი და მრავალი სხვ. მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადაზე სკოლამ ექვსჯერ მოიპოვა საერთო პირველი ადგილი და ამდენჯერვე — რაიონის თასი. წლევანდელ სპარტაკიადაზე სკოლის ველოსიპედისტები, ტანმოვარჯიშენი, მოჭადრაკეები და ფრენბურთელი გოგონები პირველ ადგილებზე გამოვიდნენ. რაიონულ და სარაიონთაშორისო შეჯიბრებებში სკოლის სპორტსმენები ვერ გაიმარჯვებდნენ, რომ თვით ადგილზე, სკოლაში, მის სპორტულ ბაზებზე ყოველდღიური წვრთნა და შიდასასკოლო შეჯიბრებები არ ტარდებოდეს. ფიზკულტურულ კოლექტივში გამოდის კედლის გაზეთები „უუმბარა“ და „ბადრო“. ამ ბოლო ხანს ზოგიერთი მოსწავლე სპორტსმენი თავისუფალ დროს სკოლის სახელოსნოში, ავიამოდელისტთა წრეებში მეცადინეობს. აქ ისინი პრაქტიკულად ეცნობიან ავიატექნიკის საფუძვლებს. მათ უკვე თვითმფრინავის მრავალი მოდელი აქვთ დამზადებული. სკოლის მოსწავლეები არანაკლებ ინტერესს იჩენენ ტურისტული ლაშქრობისადმი. განვლილი სასწავლო წლის მანძილზე მათ ათი ტურისტული ლაშქრობა მოაწყეს.

სასწავლო წელი დამთავრდა, მაგრამ სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა არ წყდება: არდადეგების პერიოდში ქალაქში დარჩენილი მოსწავლეები წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობას არ შეწყვეტენ.

სკოლას თავის მუშაობაში დიდი მიზანი აქვს დასახული: წარმატებით გადაჭრას სკკპ XXI ყრილობის მიერ სკოლების წინაშე დასმული ამოცანები, მოამზადოს მოსწავლეები პრაქტიკული ცხოვრებისათვის და ახალი გამარჯვებებით შეხვდეს სკკპ XXII ყრილობას.

ჯ. ენუქიძე

მივგაძოთ ჩოხატაურელთა თაოსნობას

ამას წინათ გაიმართა ჩოხატაურის რაიონის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რაიონში მძლეოსნობის განვითარების საკითხი. აქტივზე აღინიშნა, რომ ამჟამად აქ გაცილებით უკეთესი პირობებია სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისათვის, არის ბაზები, მწვრთნელი, მაგრამ მთელი რიგი მიზეზები ჯერ კიდევ აფერხებენ მდგომარეობის გამოსწორებას.

აქტივმა მიიღო სათანადო დადგენილება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად აიღო გაზრდილი ვალდებულებანი, რომელშიც ვკითხულობთ:

„რაიონში მძლეოსნობის შემდგომი განვითარების მიზნით მთავარი ყურადღება მიექცევა სექციებში ახალგაზრდების მიზიდვის საქმეს. გასულ წელთან შედარებით ყრილობის გახსნის დღისათვის მძლეოსნობაში მომეცადინეთა რიცხვს გავზრდით 200 ახალგაზრდით, ხოლო 1961-65 წლებში შეჯიბრებათა რეგულარული გამართვით მოვამზადებთ 100 მოზარდ თანრიგოსანს, 33 — მესამე, 14—მეორე და 2 პირველ თანრიგოსანს, აგრეთვე 30 ინსტრუქტორსა და 50 მსაჯს.

წლების განმავლობაში უცვლელია რაიონის რეკორდები, ვალდებულებას ვკისრულობთ მივაღწიოთ მათს საფუძვლიან გაუმჯობესებას, ხოლო იმ სახეობებში, რომლებშიც რეკორდები არ გვქონია (რბენა 3.000; 10.000 მეტრზე, სპორტული სიარული, ჭოკით ხტომა, სამჭიდი, შუბის ტყორცნა) დავამყარებთ პირველ რეკორდებს. მძლეოსნობის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით დავნერგავთ რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნებთან ადგილობრივი ახალგაზრდების შეხვედრის პრაქტიკას და გავატარებთ მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რათა რესპუბლიკის ნაკრებს მივცეთ ერთი მაღალი თანრიგის მძლეოსანი.

ჩოხატაურელებს ინიციატივის კარგი ტრადიციები აქვთ და ისინი ამ მისაბაძ წამოწყებასაც გაანაღდებენ.

ლელო

ფე-2 ბბ. № 87 (1723)

მეგობრულ ვითარებაში

თბილისში სტუმრად იმყოფებიან ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის მოცურავეები (ტულ-ი), რომლებიც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდნენ „განთიადის“ სპორტსმენებს. „საქცხიმეთერტრესტის“ (ორთაჭალა) აუზის ტრიბუნებზე თავმოყრილი მაყურებლები კმაყოფილი დარჩნენ პირველი დღის შეჯიბრებით, რომლის ტონის მიმცემნი 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით მოცურავე ქალები აღმოჩნდნენ.

თბილისელ ე. შავდიას ბრძოლა მოუხდა ჰ. ლაიპალასა და ს. ვოლსტრემთან. ეს იყო ქართველი სპორტსმენის პირველი საერთაშორისო შეხვედრა. დასაწყისში ძნელი იყო გარკვევა შეძლებდა თუ არა იგი გუნდის ინტერესების წარმატებით დაცვას, მაგრამ მან თანდათან გაასწრო მოწინააღმდეგეებს. მან 1,1 წამით მიასწრო ფინიშზე ჰ. ლაიპალას, აჩვენა 1.13,3 და პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

ვაჟთა შორის ამავე სტილით ცურვაში თბილისელ გ. კორბუკოვის წინააღმდეგ კვლავ ორი ფინელი გამოდიოდა — პ. იარვინენი და ტ. პალკენი. თბილისელი უძლიერესი აღმოჩნდა ფინელებთან ბრძოლაში და გაიმარჯვა კიდეც — 59,8. მეორე ადგილზე გამოსულმა ტ. პალკენმა აჩვენა — 1.06,5.

ე. შავდიას ამ დღეს მეორედ მოუნდა გამოსვლა, ამჯერად 100 მ ზურგზე ცურვაში და თანაგუნდელ ი. ჩუგუევსკაიასა და ფინელ მ. ვილიასთან ბრძოლაში მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამასთან 4,5 წამით აჯობა მ. ვილიას, რომლის შედეგია — 1.24,8 წ. ვაჟთა შორის ამ სახეობაში თავიანთი გუნდის ინტერესებს იცავდნენ ბ. ლეჟავა და ა. ლეჰმუსვიე. ფინელის ყველა ცდა, დაჯაბნა მოწინააღმდეგე, წარუმატებლად დამთავრდა. ლეჟავამ არა მარტო შეამცირა სტარტზე დაკარგული დრო, არამედ საგრძნობლადაც გაასწრო მოწინაღმდეგეს.

სტარტზე არიან 100 მ ბრასის სტილით მოცურავე ქალები — მ. სალონენი, ა. ვარტიანენი, თბილისელები დ. კონონენკო და ი. ნათაძე. მოწინააღმდეგენი კარგახანს თანაბრად მიცურავდნენ. ასე განვლეს მათ თირქმის 90 მეტრი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო კონონენკომ მცირე უპირატესობის მოპოვება. ვ. მაჩინისა (თბილისი) და პ. იარვინენის ბრძოლა ამავე სახეობაში პირველის აშკარა უპირატესობით წარიმართა, მან თავის მოწინააღმდეგეს 4,6 წამით აჯობა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სტუმრებმა ერთი გამარჯვების მოპოვება, როცა „დელფინთ“ 100 მეტრზე ცურვაში სტარტზე მეორედ გამოსულმა ს. ვოლსტრემმა აჩვენა პირადი სარეკორდო დრო— 1.29,3 და გამარჯვება მოუტანა გუნდს. სამაგიეროდ, ვაჟთა შორის ს. ეუკოვმა დაძაბულ ბრძოლაში გასტეხა ტ. პალკენის შეუპოვარი წინააღმდეგობა და „განთიადის“ გუნდის პირველი დღის გამარჯვება წარმატებით დააგვირგვინა.

სტუმრები დამარცხდნენ, მაგრამ დამარცხდნენ სპორტულ ასპარეზზე, სამაგიეროდ მათ ახალი მეგობრები შეიძინეს ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რითაც ისინი მეტად კმაყოფილნი არიან.

შეჯიბრების მეორე დღე უფრო ნაყოფიერი გამოდგა სტუმრებისათვის. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის ფინელმა მ. სალონენმა შეძლო რეკანში აეღო წინა დღის დამარცხებისათვის. მან დისტანციის გაცურვას მოანდომა 3.10,8 და აჯობა თბილისელ დ. კონონენკოს. ფინელთა გამარჯვებით დამთავრდა ქალთა კომბინირებული ესტაფეტაც 4×100 მეტრზე. პირველ ეტაპზე ი. ჩუგუევსკაიამ მ. ვილიასთან 3 მეტრით წააგო და სტუმრებმა შემდგომში შეინარჩუნეს ეს უპირატესობა.

სხვა გაცურვებში კვლავ აშკარა იყო „განთიადის“ სპორტსმენთა სიძლიერე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვის ფინიშზე პირველნი იყვნენ თბილისელები ი. ამნიაშვილი და გ. კორბუკოვი, საქართველოს გუნდის გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა ესტაფეტა.

ამრიგად, ორი დღის შემდეგ „განთიადის“ მოცურავეებმა 8 ქულით აჯობეს ფინელ სტუმრებს და პირველი ადგილი მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.



სურათებზე: ზევით — ქალთა შორის 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში გამარჯვებული თბილისელი ე. შავდია დისტანციაზე. ქვევით — ფინელი პ. იარვინენი ამთავრებს შეჯიბრებას.

* * *

გათამაშების მეთორმეტე ტური

ბოლოს „კოლხეთისა“ და ქობულეთის „შუქურას“ მატჩში, რომელიც ხობში შედგა, კარგი თამაში იქნა დემონსტრირებული პირველ ტაიმში, როცა მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა 2-2 ბურთი. შესვენების შემდეგ ორივე გუნდის ფორვარდებმა ვერ გამოიყენეს მრავალი კარგი შესაძლებლობა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ხობის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გეგეჭკორის „სალხინო“. სტუმრებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიაღწიეს უპირატესობას — 1:0. მართალია, დინამოელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ სტუმრებმა შეხვედრის დასასრულს გაიტანეს გადამწყვეტი გოლი და მიაღწიეს გამარჯვებას — 2:1.

ტყიბულის „შახტიორს“ მორიგი შეხვედრა ჰქონდა თბილისში ადგილობრივ არმიელთა გუნდთან. პირველი ბურთი გატანილ იქნა არმიელთა მიერ, მაგრამ ტყიბულელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მეორე ტაიმს შედეგი არ მოუცია და მეტოქეებმა თითო ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში — 1:1. აღსანიშნავია „მეშახტის“ მეკარე ძიძიგურის კარგი თამაში.

ლიდერთა შორის მტკიცედ დამკვიდრდა ბათუმის „განთიადი“, განვლილ ტურში ბათუმელებმა საკუთარ მინდორზე ანგარიშით 3:0 დაამარცხეს თელავის „კოლმეურნე“ და თავიანთ აქტივს მიუმატეს კიდევ 2 ქულა.

რესპუბლიკის შარშანდელმა ჩემპიონმა „იმერეთმა“ (ქუთაისი) მიიღო ჩოხატაურის „ბახმარო“, მასპინძლებს უპირატესობა ჰქონდათ მთელი ტაიმის განმავლობაში, რომელიც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 1:0. ჩოხატაურელებმა მეორე ტაიმში გამოასწორეს მდგომარეობა და მიაღწიეს კიდეც ფრეს — 1:1.

კვლავ წარმატებით თამაშობს ადიგენის „მექანიზატორმა“, რომელიც შეხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერ გუნდს. თამაშის მეორე ნახევარში სტუდენტები წინ იყვნენ ანგარიშით 3:2, მაგრამ ადიგენის ფეხბურთელებმა შეძლეს მესამე გოლის გატანა და ფრედ დამთავრეს შეხვედრა — 3:3.

II ჯგუფის ლიდერმა ლანჩხუთის „გურიამ“ მატჩი ჩაატარა ცხაკაიაში ადგილობრივი „განთიადის“ წინააღმდეგ. პირველი ტაიმი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ — 1:1. ლანჩხუთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მეორე ტაიმი და მიაღწიეს მნიშვნელოვან გამარჯვებას ანგარიშით 4:1.

აუტსაიდერთა რიგებს გასცილდა თბილისის „სპარტაკი“. თბილისელებმა მიიღეს გორის „დილა“ და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1. იმედია, გუნდი მომავალში მეტ ბრძოლისუნარიანობას გამოავლენს და გაიუმჯობესებს იმ არასახარბიელო მდგომარეობას, რომელიც მას უკავია გათამაშების ცხრილში.

კარგად დაიწყეს თამაში უვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელებმა რუსთავის „სპარტაკის“ წინააღმდეგ და შესვენებისათვის დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. მაგრამ პირველ ტაიმში მოპოვებული გუნდმა შემდგომში დაჰკარგა, რითაც კარგად ისარგებლეს სპარტაკელებმა და გაქვითეს ორივე გოლი — 2:2.

ზუგდიდში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ოდიში“ და ფოთის „მეზღვაური“. მართალია, ზუგდიდელებს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოუცია — 0:0.

უფერულად ჩაატარა შეხვედრა სტალინირის „სპარტაკთან“ თბილისის „ისანმა“. თედეევის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა „სპარტაკს“ — 1:0.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „მშენებელი“ და წულუკიძის „ფეიქარი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეტად საპასუხისმგებლო თამაში ჰქონდა ახალციხის „მესხეთს“ სამტრედიის „ლოკომოტივთან“. პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყო „მესხეთი“ ანგარიშით 2:0. „ლოკომოტივმა“ მეორე ტაიმში გაქვითა ორივე გოლი, მაგრამ „მესხეთმა“ კვლავ შეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში და მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 5:3.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 25 ივნისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ მახარაძე	12	9	2	1	41:15	20
ფიზ. ინსტ. თბილისი	12	7	3	2	27:14	17
„განთიადი“ ბათუმი	12	7	3	2	22:14	17
„მეშახტე“ ტყიბული	12	6	4	2	29:11	16
„შუქურა“ ქობულეთი	12	6	3	3	27:18	15
სკა თბილისი	12	5	4	3	20:14	14
„იმერეთი“ ქუთაისი	12	4	6	2	22:15	13
„ბახმარო“ ჩოხატაური	12	5	2	5	20:32	12
„მადაროელი“ ჭიათურა	12	4	2	6	19:22	10
„კოლხიდა“ ხობი	12	2	5	5	15:16	9
„მექანიზატორი“ ადიგენი	12	3	2	7	18:28	8
„კოლმეურნე“ თელავი	12	1	5	6	23:39	7
„სალხინო“ გეგეჭკორი	12	3	1	8	14:36	7
„დინამო“ სოხუმი	12	0	2	10	9:31	2

* * *

II ჯგუფში

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხუთი	12	11	0	1	34:14	22
„მესხეთი“ ახალციხე	12	6	3	3	31:16	15
„ფეიქარი“ წულუკიძე	12	6	2	4	21:24	14
„განთიადი“ ცხაკაია	12	6	2	4	20:25	14
„ოდიში“ ზუგდიდი	12	6	1	5	21:19	13
„სპარტაკი“ სტალინირი	12	6	1	5	14:18	13
„მეზღვაური“ ფოთი	12	4	4	4	12:9	12
„ლოკომოტივი“ სამტრედია	12	5	2	5	21:18	12
„სპარტაკი“ თბილისი	12	4	3	5	12:13	11
„დილა“ გორი	12	4	2	6	16:14	10
„მშენებელი“ ქუთაისი	12	3	4	5	15:20	10
„დურუჯი“ უვარელი	12	3	3	6	15:23	9
„სპარტაკი“ რუსთავი	12	1	5	6	14:24	7
„ისანი“ თბილისი	12	2	2	8	18:27	6

რუმინეთ-საქართველოს საჭადრაკო მატჩის კარტიეგიდან

მ. ტოგონიძე — ა. ნიკოლაუ

ბუქარესტის უნივერსიტეტის დიპლომანტი ა. ნიკოლაუ რუმინეთის 1961 წლის ჩემპიონია. მან სინაის საერთაშორისო ტურნირში დაიმსახურა პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა და საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ა. ნიკოლაუს ტოგონიძე ბუქარესტში შეხვდა ორჯერ და გაიმარჯვა — 1,5:0,5.

კარგად გათამაშებული დებიუტის შემდეგ ტოგონიძემ შეცდომა დაუშვა, მაგრამ შემდეგ იშვიათი ენერგიით მიჰყავს პარტია და იმარჯვებს.

* * *

1. c4 f5 2. d4 ∂f6 3. ∂c3 e6 4. ⚘g5 ⚘e7 5. f4 d5 6. e3 0—0 7. ∂f3 c6 8. ⚘d3 ∂d7 9. 0—0 ∂e4 10. ⚘:e4 fe 11. ⚘:e7 ლ:e7 12. ∂d2 ლh4 13. ლe1 ლh5 14. ლe2 ლ:e2 15. ∂:e2 ∂5 16. cd ed 17. ∂b3 c4 18. ∂d2 ∂f6 19. h3 b5 20. g4 ⚘d7 21. ⚘fc1 ⚘fc8 22. ∂f1 b4 23. ∂fg3 ∂e8 24. f5 a5 25. ∂f4 ∂c7 26. ∂ge2 ⚘a6 27. ⚘ab1 ⚘d6 28. ∂ef2 ∂b5 29. ∂e1 g6 30. fg hg 31. g5 ⚘e8 32. a3 ba 33. ba ∂:a3 34. ⚘a1 ∂b5 35. ⚘:a5 ⚘d7 36. ⚘b1 ∂c7 37. ∂c3 ⚘c6 38. ⚘b6 ⚘cd8 39. ⚘c5 ∂b5 40. ∂:b5 ⚘:b5 41. ⚘:d6

შავები დანებდნენ

ტურნირი პალანგაში

25 ივნისს ლიტვის საკურორტო ქალაქ პალანგაში დაიწყება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს საჭადრაკო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 16 მოჭადრაკე, თვითეული რესპუბლიკიდან ორი ოსტატი და ამდენივე ოსტატობის კანდიდატი. ტურნირში მონაწილე ოსტატობის კანდიდატებს შეუძლიათ შეასრულონ ოსტატის ნორმა.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ ოსტატები ა. ბლაგიძე, ა. ბუსლაევი და ოსტატობის კანდიდატები თ. ლომაია და დ. ჯანოევი.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 87 (1724)

„ბ“ კლასში

ბრესტი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო ზონის ლიდერი — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

თბილისელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

* * *

ერევანი. 22 ივნისს აქ ითამაშეს II ზონის გუნდებმა — ერევნის „ნაირიმ“ და რუსთავის „მეტალურგმა“.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 4:2 „ნაირის“ სასარგებლოდ.

* * *

ბათუმი. 24 ივნისი. აქ შედგა კიდევ ერთი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდის მონაწილეობით. ბათუმის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ბენდერის „ნისტრული“,

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

„რიწა“ (სოხუმი)-„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი) — 5:0

სულ ათიოდე წუთი იყო გასული „რიწისა“ და „პიშჩევიკის“ ფეხბურთელთა შეხვედრის დაწყებიდან და სოხუმელებმა ზედიზედ 7 კუთხური მიაწოდეს მოწინააღმდეგის კართან. მათი შეტევა სწრაფი და გააზრებული იყო. ტირასპოლის გუნდი მე-20 წუთამდე თავგამოდებით იცავდა კარს, მაგრამ მასპინძელთა ერთ-ერთი მორიგი შტურმის შემდეგ მეკარე იძულებული იყო გამოეტანა ბურთი კარიდან — 1:0.

ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ფიფიამ მარჯვენა ფლანგიდან მეტად ლამაზი და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში და ანგარიში გახდა 2:0. სოხუმელთა შეტევები არ შენელებულა ტაიმის ბოლომდე და კურტანიძემ თავისი გუნდის აქტივს კიდევ ერთი ბურთი დაუმატა — 3:0.

სურათი არ შეცვლილა მეორე ტაიმშიც. ტირასპოლელთა ცდას, შეეტანათ გარდატეხა თამაშში, არ მოყოლია რაიმე შედეგი. „რიწის“ თავდამსხმელმა მინჯიამ კიდევ ორი ბურთის გატანა შეძლო და სოხუმელებმა მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას ანგარიშით 5:0.

ზ. გვილავა



ნაკვეთი. მინდორი იყო მწვანე, ფეხბურთელთა ფორმა — ლურჯ, თაბაში კი — უფერული.

სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის დამთავრების შემდეგ, თურქების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი, მარცხენა შუამარბი ჯანი მივიდა გ. ჩოხელთან და თხოვა მასთან ერთად გადაეღო სურათი. ფოტოკორესპონდენტმა ვ. ტუტოვმა აღბეჭდა ეს მომენტი. **სურათზე** — ჯანი და ჩოხელი მატჩის შემდეგ.

გუნდმა კვლავ სუსტად ითამაშა

საკმაოდ დიდი ხნის შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო გუნდის მგზავრობით მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე სათამაშოდ, თბილისელმა მაყურებლებმა კვლავ ნახეს თბილისის „დინამოს“ გამოსვლა საკუთარ მინდორზე და უნდა პირდაპირ ითქვას, გუნდმა არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა. განვლილ მატჩში დაკარგული ქულა პირდაპირი შედეგია იმისა, რომ დინამოელებმა მთელი თავიანთი ძალა და შესაძლებლობანი არ ჩააქსოვეს გამარჯვების მოპოვებისათვის ბრძოლას.

„დინამოს“ განსაკუთრებით ისა აქვს სასაყვედურო, რომ მან კარგად დაიწყო მატჩი და ნაცვლად იმისა, რომ თანდათან განევითარებინა მოპოვებული უპირატესობა და რეალობად ექცია გამარჯვება, მან ხელიდან გაუშვა თამაშის სადავეები, ვერაფერი დაუპირისპირა მოწინააღმდეგის ენერგიულ, აგრესიულ მოქმედებას და დაკარგა უაღრესად საჭირო ქულა.

თბილისელებმა თამაში დაიწყეს შემდეგნაირად: გ. სიჭინავა ძირითადად შუამარბის ზონაში თამაშობდა და ყოველ საჭირო მომენტში აქტიურ დახმარებას უწევდა იამანიძეს, რომელიც საუკეთესოდ ასრულებდა შემტევი ნახევარმცველის რთულ ფუნქციებს. სწორედ მისი წყალობით გაიშალა აქტიური თამაში მარცხენა ფლანგზე, საიდანაც ზედიზედ იქნა განხორციელებული მეტად სახიფათო საიერიშო კომბინაციები. დათუნაშვილი, გ. სიჭინავა და იამანიძე ხშირად გადიოდნენ ვრცელ ტერიტორიას ზუსტი გადაცემებით და თუმცა მარჯვენა ფრთა (მელაშვილი-ბარქაია) მათ ერთობ „მოკრძალებულ“ დახმარებას უწევდა საერთო შეტევის წარმოებაში, თამაშს მაინც სათანადო ეფექტი და სიმწვავე ჰქონდა. მაგრამ სრულიად გაუგებარი მიზეზით დინამოელებმა ხელი აიღეს ამ ტაქტიკურ ვარიანტზე და გაამარტივეს იგი — გ. სიჭინავა ნახევარდაცვაში იქნა დაწეული, ხოლო იამანიძე დარჩა წინა პოზიციაზე. ამ წუთიდან დაწყებული ჩვენი გუნდის თამაში მკვეთრად შეიცვალა — იგი გაუფერულდა, შეტევის სიმწვავემ მოიკლო, თავდასხმის ხუთეულის ურთიერთმოქმედება სრულიად დაირღვა და ამის შედეგად სტუმრებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მართალია, მათ არა აქვთ მაღალი ტექნიკა, ტაქტიკური მრავალფეროვნება და სიმდიდრე, მაგრამ „შახტიორის“ ფეხბურთელთა მონდომება და ბრძოლისუნარიანობა სრულიად საკმარისი გამოღვა საიმისოდ, რომ დაეცვათ კოლექტივის სახელი და მოეპოვებინათ ქულა მათთვის ძნელ მატჩში. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სტალინოს სპორტსმენებმა უფრო კარგად და სრული დატვირთვით აიტანეს სამხრეთული სიცხე, ვიდრე თბილისელებმა.

გაკვირვებას იწვევს „დინამოს“ მარჯვენა ფრთის უაღრესად სუსტი თამაში. ვერც მელაშვილი და ვერც ბარქაია განვლილ მატჩში ვერ პასუხობდნენ მათდამი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი, მელაშვილი შეცვლილ იქნა კიდეც მეორე ტაიმში ცინცაძეთი, მაგრამ ამ შეცვლას არავითარი სარგებლობა არ მოუცია გუნდისათვის. საერთოდ, ამ დღეს დინამოელთა თავდასხმამ ითამაშა ძალზე სუსტად — ქაოტიურად და შეუთანხმებლად. ფორვარდებს თითქმის არც ერთხელ არ დაურტყიათ ხერიანად კარში. შედარებით უკეთესი იყო დაცვა, სადაც ენერგიული თამაშით თავი გამოიჩინა გ. სიჭინავამ.

მოსაწყენმა, უფერულმა 90-მა წუთმა განვლო ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა 0:0. ასეთივე შედეგით დამთავრდა ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც.

ვ. შავდია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 24 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (სტალინო) — 0:0.

„შახტიორი“: რაიგიჩი; გოლოვკო, სნეგირიოვი, ალიაბიევი; მიზერნი, სალკოვი; როდინი, კოლოსოვი, სველიევი, ზახაროვი (რომანიუტა), დიკოვეცი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, იამანიძე; მელაშვილი (ცინცაძე), ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა. დათუნაშვილი.

მსაჯი კ. ოსიპოვი (ლენინგრადი).

ფრე არგენტინელებთან

გუშინ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები თამაშობდა ექსპერიმენტული შემადგენლობით, რომელშიც მატჩის მსვლელობაში მოხდა რამდენიმე ცვლილება.

„ა“ კლასში

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 25 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	11	9	1	1	19:7	19
„ლოკომოტ“ მ.	13	6	4	3	20:18	16
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	19:11	15
„ავანგარდი“ ხ.	11	6	3	2	12:8	15
სკა როსტ.	12	6	2	4	21:12	14
„ნეფტიანიკი“ ბ.	12	4	5	3	12:11	13
„შახტიორი“ სტ.	13	3	5	5	9:15	11
„ადმირალტ.“ ლ.	12	4	1	7	10:14	9
„ტრუდი“ ვორ.	12	2	4	6	8:14	8
„დაუგავა“ რ.	12	2	3	7	11:19	7
„სპარტაკი“ ვ.	13	1	5	7	12:24	7

* * *

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	12	8	2	2	32:17	18
„დინამო“ კ.	12	7	3	2	24:11	17
„სპარტაკი“ მ.	12	6	3	3	20:10	15
„პახტაკორი“ ტ.	11	6	3	2	21:19	15
„დინამო“ მ.	12	4	4	4	18:18	12
„ზენიტი“ ლ.	12	4	4	4	17:20	12
„მოლდოვა“ კიშ.	13	4	3	6	23:23	11
„სპარტაკი“ ერ.	12	3	5	4	18:22	11
„კაირატი“ ა-ტა	12	3	4	5	13:20	10
„ბელარუსი“ მნ.	12	2	3	7	12:[illegible]	7
„კალევი“ ტალ.	12	0	4	8	10:28	4

* * *

I ჯგუფში

„ტორპედო“ (მოსკოვი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 3:1.

„სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1:3.

II ჯგუფში

„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 1:0.

„კალევი“ (ტალინი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 1:2.

რედაქტორი ი. უგულავა.

„ბ“ კლასში

ბრესტი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო ზონის ლიდერი — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

თბილისელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

* * *

ერევანი. 22 ივნისს აქ ითამაშეს II ზონის გუნდებმა — ერევნის „ნაირიმ“ და რუსთავის „მეტალურგმა“.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 4:2 „ნაირის“ სასარგებლოდ.

* * *

ბათუმი. 24 ივნისი. აქ შედგა კიდევ ერთი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდის მონაწილეობით. ბათუმის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო ბენდერის „ნისტრული“,

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

„რიწა“ (სოხუმი)-„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი) — 5:0

სულ ათიოდე წუთი იყო გასული „რიწისა“ და „პიშჩევიკის“ ფეხბურთელთა შეხვედრის დაწყებიდან და სოხუმელებმა ზედიზედ 7 კუთხური მიაწოდეს მოწინააღმდეგის კართან. მათი შეტევა სწრაფი და გააზრებული იყო. ტირასპოლის გუნდი მე-20 წუთამდე თავგამოდებით იცავდა კარს, მაგრამ მასპინძელთა ერთ-ერთი მორიგი შტურმის შემდეგ მეკარე იძულებული იყო გამოეტანა ბურთი კარიდან — 1:0.

ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ფიფიამ მარჯვენა ფლანგიდან მეტად ლამაზი და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი კარში და ანგარიში გახდა 2:0. სოხუმელთა შეტევები არ შენელებულა ტაიმის ბოლომდე და კურტანიძემ თავისი გუნდის აქტივს კიდევ ერთი ბურთი დაუმატა — 3:0.

სურათი არ შეცვლილა მეორე ტაიმშიც. ტირასპოლელთა ცდას, შეეტანათ გარდატეხა თამაშში, არ მოყოლია რაიმე შედეგი. „რიწის“ თავდამსხმელმა მინჯიამ კიდევ ორი ბურთის გატანა შეძლო და სოხუმელებმა მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას ანგარიშით 5:0.

ზ. გვილავა



სსრ კავშირის თასზე

22 ივნისს ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ბაქოს „სპარტაკი“. ეს იყო „ბ“ კლასის გუნდების შეხვედრა სსრ კავშირის თასზე.

პირველივე წუთზე მსაჯის სასტვენის შემდეგ, სტუმრების ცენტრალური თავდამსხმელი მურადოვი პირისპირ აღმოჩნდა ქუთაისელთა მეკარე ურუშაძესთან, მაგრამ მეკარემ დროული ნახტომით ფეხებიდან ააცალა ბურთი ფორვარდს და ტორპედოელები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ. მე-16 წუთზე სარჯველაძემ კარგი გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა გვიმრაძე, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ ამის შემდეგ „ტორპედოს“ თავდამსხმელებმა მოუკლეს ტემპს, ზოგიერთი მათგანი ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდა და ანგარიში 1:0 ტაიმის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

მეორე ნახევარში ქუთაისელები განაგრძობდნენ იერიშებს და ბაქოელები იძულებული იყვნენ უკან დაეწიათ ერთ-ერთი შუამარბი, რის შემდეგ თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა ნახევარმცველ პეტრიაშვილს. მე-14 წუთზე სწორედ პეტრიაშვილის გარღვევის შემდეგ შეძლო ცხოვრებოვმა მეორე ბურთის გატანა, ხოლო მცირეხანს შემდეგ „სპარტაკის“ კარში დანიშნული იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა სორდიამ — 3:0.

ქუთაისის „ტორპედო“ თავის მორიგ შეხვედრას თასზე ჩაატარებს რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგთან“.

ლ. ფაჩუაშვილი

* * *

სურათზე: მეორე ბურთი გავიდა ბაქოს „სპარტაკის“ კარში.

ფოტო ვ. ფიჩხაძისა

დღეს

ფეხბურთი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ კლასი

„ლოკომოტივი“ (თბ) — „შირაქი“ (ლენინაკანი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03978